პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ(ბ) ც. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკპ(ბ) საქართველოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 18 მარტი, 1943 წ. № 64 (6689). ფასი 20 კაპ.

გამანადგურებელი დარტყმები ვაგემოთ მტერს

წითელი არმია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში შევიდა. ფრონტის მთელ ვეებერთელა მანძილზე ბარენცის ზღვიდან აზოვის ზღვის სანაპირომდე არც დღე, არც ღამე არ სწყდება გააფთრებული ბრძოლები. გრანდიოზული ბრძოლის გუგუნი მთელ დედამიწის ზურგს სწვდება, და დედამიწაზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც აღელვებით არ ისმენდეს იმ ამბებს, რაც საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტიდან მოდის.

წითელ არმიას მარტო გადააქვს გერმახელ დამპყრობლებთან ომის მთელი სიმძიმე. საბჭოთა ჯარები არა მარტო გაუმკლავდნენ ჰიტლერელთა არმიებს, არამედ კიდევაც შეაჩერეს მოწინააღმდეგის შემოტევა და 1942 წლის ნოემბერში თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ჰიტლერელებს ზედიზედ ატყდებოდა თავს დარტყმები. ინიციატივა თითქმის ყველგან წითელი არმიის ხელში გადმოვიდა.

თითქმის 4 თვე გავიდა წითელი არმიის შეტევის დაწყების დღიდან. მიუხედავად ზამთრის მკაცრი პირობისა, გაჭიმული კომუნიკაციებისა და ამასთან დაკავშირებით ერთგვარი სიძნელეებისა ჩვენი ჯარების საომარი მასალებითა და სურსათით მომარაგებაში, ჩვენი მეომრების საბრძოლო სულისკვეთება წინანდებურად მაღალია. წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები მზად არიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელე მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენი შეტევის განმავლობაში ჰიტლერული სიბილწისაგან განთავისუფლებულია რამდენიმე ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ტერიტორია. საბჭოთა დროშა კვლავ აღიმართა მრავალ ათას ქალაქსა და სოფელზე.

წითელი არმიის მეომრები ამსხვრევენ მტრის გაშმაგებულ წინააღმდეგობას, იტანენ 4 თვის შეტევის კოლოსალურ დაძაბვას და ყოველდღე უბრუნებენ ჩვენს ქვეყანას საბჭოთა მიწა-წყლის კილომეტრებს, რაც მათ ბრძოლებით წაართვეს მტერს. როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, მარტო ერთ დღეს — 15 მარტს ვიაზმის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ათობით დასახლებული პუნქტები, მათ შორის ქალაქი ხოლმ-ჟირკოვსკი და რაიონული ცენტრი სემლევო. ბელის სამხრეთით დაკავებულია 40 დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ბატურინო.

ომის მსვლელობაში წითელი არმია რისხვად იქცა მტრისათვის, ისწავლა მის წინააღმდეგ აუცდენლად დარტყმა, ჰიტლერული არმიის სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით. მილიონობით ჩვენი მებრძოლნი თავანი იარაღის ოსტატები გახდნენ, ხოლო ათეულათასობით მეთაურებმა ისწავლეს ჯარების ხელმძღვანელობა ბრძოლის ველზე, გაიზარდნენ ჯარების გაძღოლის ოსტატებად. ამჟამად მიმდინარე ბრძოლებში მრავალია ტაქტიკური ამოცანების მარჯვედ გადაწყვეტის მაგალითები.

რამდენიმე დღე სწარმოებდა ბრძოლები ქალაქ ხოლმ-ჟირკოვსკისათვის. მისი ბედი ჩვენი ნაწილების მიერ განხორციელებულმა შემოვლითმა მანევრებმა გადაწყვიტა. ჯარების ერთი ჯგუფი ქალაქის მისადგომებზე გავიდა და დაიწყო მისი შემოვლა ჩრდილო-დასავლეთიდან, მეორე ნაწილი ბრძოლებით მიიწევდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ამავე დროს ქვეითი ქვეგანაყოფები, არტილერიისა და გვარდიელ ნაღმმტყორცნელთა დახმარებით, დასავლეთიდან შეიჭრნენ ქალაქში. კომბინირებული დარტყმის შედეგად მოწინააღმდეგე განადგურებულ იქნა.

აქტივობა, სისწრაფე, უდიდესი ამტანობა—აი ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს წითელი არმიის შემტევ ნაწილს. საბჭოთა მეომრებმა იციან, რომ არ შეიძლება სულის მოთქმის საშუალება მივცეთ მტერს, არ შეიძლება დავანებოთ ძალ-ღონე მოიკრიბოს, წესრიგში მოიყვანოს შეფერთხილი პოლკები, მოახდინოს გადაჯგუფება. დროის ფაქტორი, რომელსაც ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო ოპერაციებში, ჭეშმარიტად დიდ როლს თამაშობს შეტევაში. ზოგჯერ პირდაპირ წუთები სწყვეტს ბრძოლის შედეგს. მტერს არავითარ გარემოებაში არ უნდა მივცეთ დრო.

ბრძოლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გერმანელები არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან, რათა შეაჩერონ საბჭოთა ჯარების წინსვლა.

ფაშისტები ებღაუჭებიან ყოველ თუნდაც ოდნავ გამოსადეგ ზღუდეს, ყოველ მცირე მაღლობს, ხრამს, პატარა ხუტორს, დაბას. ისინი ხშირად გადმოდიან კონტრიერიშებზე, ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ გამოჰყავთ ტანკები, ავიაცია და მოტოქვეითი ჯარი. განსაკუთრებით გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ ჰიტლერელები მნიშვნელოვან, დიდი ტაქტიკური მნიშვნელობის მქონე დასახლებულ პუნქტებთან, რკინიგზის კვანძების და გზატკეცილ კომუნიკაციების გადაჯვარედინების ადგილების ახლოს.

ჩვენს შემტევ ნაწილებს ახლა ოპერაციების წარმოება უხდებათ იმ რაიონებში, რომლებმაც მრავალი თვე დაჰყვეს ჰიტლერელ ოკუპანტთა უღელქვეშ. ამ ხნის განმავლობაში გერმანელებმა მოასწრეს აეშენებინათ მძლავრი, თანამედროვე სიმაგრეები, აეგოთ ძლიერი თავდაცვითი ზღუდეები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებით, ძელმიწურებით, განშტოებული დანაღმული ველებით და მავთულხლართებით. მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული ჩვენი ნაწილები ამსხვრევენ მოწინააღმდეგის თავდაცვას, გარს უვლიან და ალყას არტყამენ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს და განაგრძობენ თავის წინსვლას დასავლეთისაკენ.

თავის 1943 წლის 23 თებერვლის ბრძანებაში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი **სტალინი** ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმცა მტრის არმიებს მძლავრი დარტყმები ვაგემეთ, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის ძლეული. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლა მხოლოდ ახლა ვითარდება და ჩაღდება. სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა, რომ გერმანელები უბრძოლველად დაგვთმობენ მათ მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის თუნდაც ერთ კილომეტრს. გერმანელები გაფაციცებით ეწევიან თავისი რეზერვების მობილიზაციას, ავსებენ წინა ბრძოლებში შეფერთხილ და დამარცხებულ დივიზიებს, თავს უყრიან მათ ცალკეულ უბნებზე და ცდილობენ გამოასწორონ შექმნილი მდგომარეობა. შეჰქმნა რა დიდი რიცხობრივი სიუარბე, მოწინააღმდეგემ აქა-იქ მოახერხა ჩვენი ნაწილების შევიწროება. მრავალი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა სარდლობის ბრძანებით მოახდინეს ქალაქ ხარკოვის ევაკუაცია. ხარკოვისათვის წარმოებული გააფთრებული ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა მტერს.

გერმანელებს მრავალი იერიში მოაქვთ სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში. მაგრამ მტრის იერიშები უკუგდებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ცალკეულ შემთხვევებში გერმანელებს ერთბაშად გამოჰყავთ ბრძოლაში 70-მდე ტანკი. წითელი არმიის მეომრები არა მარტო იგერიებენ ამ იერიშებს, არამედ თვითონაც კონტრიერიშებს ოთვაობენ მტერზე და იუმჯობესებენ პოზიციებს.

და სადაც უნდა იმყოფებოდეს წითელი არმიის მეომარი — შეტევაში თუ მოწინააღმდეგის კონტრიერიშების უკუგდებაში, მას მუდამ უნდა ახსოვდეს სამშობლოს ბრძანება: მამაცურად და მედგრად დაიცვას ყოველი მტკაველი მშობლიური მიწა. ფაშისტებისათვის წართმეული ყოველი სოფელი, ბრძოლებით დაკავებული ყოველი ზღუდე დაუყოვნებლივ უნდა განვიმტკიცოთ მკვიდრად და საფუძვლიანად.

ჩვენ მოგველის მკაცრი ბრძოლა ვიარაგი, სასტიკი და ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინაღმდეგ. გერმანელები გაშმაგებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, ცდილობენ ცალკეულ ადგილებში წარმატებას მიაღწიონ, ახალ ავანტიურებს მიმართავენ. ჩვენი ჯარები, ყოველივეს მიუხედავად, მტრის წინააღმდეგობას ამსხვრევენ, დარტყმას კიდევ უფრო გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებენ.

საშობლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებულნი, გრძნობენ რა საბჭოთა კავშირის ხალხთა შეხმატკბილებული ოჯახის მძლავრ დახმარებას, წითელი არმიის მეომრები გამარჯვების მტკიცე რწმენით, უშიშრად და უნარიანად ებრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ჯარები გაანადგურებენ ჰიტლერელ ოკუპანტებს!

„პრავდის“ მოწინავე, 17/III

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ა. ა. ნოვიკოვისათვის ავიაციის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ნოვიკოვს** მიენიჭოს ავიაციის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 17 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სანაღმმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატის მუხკოვის ქარხანა „კომკრესორის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სპეციალური შეიარაღების წარმოების დარგში მთავრობის დავალებათა ხანიმოზად შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას სანაღმმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატის მოსკოვის ქარხანა „კომკრესორი“ **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1943 წ. 15 მარტი.

ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კანადის დესპანი ბ-ნი დ. უილგრესი

17 მარტს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კანადის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი დ. უილგრესი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 მარტის დილის ცნობა

16 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დასავლეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მოწინააღმდეგე სასწრაფოდ ჰქმნის თავდაცვითს ზღუდეებს და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს. საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს გერმანელთა სიმაგრენი და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რაიონული ცენტრი ვსხოდი და რკინიგზის სადგური იგორიევსკაია. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის რამდენიმე ორთქლმავალი და 70 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა ორჯერ მოიტანეს გააფთრებული კონტრიერიშები. ნ ნაწილის მებრძოლებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მოსპეს 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 8 ტანკი, 10 ქვემეხი და 22 ტრაქტორი.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გააფთრებულ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 9 ტანკი, 18 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად და 4 თვითმავალი ზარბასანი. ქვეგანაყოფი, რომლის მეთაურიც არის ალბ. სიჩევი, ფარულად შეეიდა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სოფელში. ჰიტლერელები თავდასხმას არ მოელოდნენ და სახლებში იყვნენ. მებრძოლები დაიყვნენ მცირე ჯგუფებად, სახლებში შეიჭრნენ და მოსპეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სოფლის მცხოვრებნი შეიარაღდნენ ცულებით, ორთითებით და სარებით და დაეხმარნენ საბჭოთა მებრძოლებს გაეწმინდათ სოფელი ჰიტლერელებისაგან.

* * *

სეევსკის დასავლეთით ნ ნაწილმა გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 8 ტანკი და მოწინააღმდეგის ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს და სოლიკით შემოიჭრნენ ჩვენი ქვეგანაყოფების განლაგებაში. საბჭოთა მებრძოლნი ფლანგებიდან დარტყმებით გარს შემოერტყნენ შემოჭრილ ჰიტლერელებს და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ გაქცევის ისინი. წამოიღებულია დავლა.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და გავიდნენ გზატკეცილზე, რომელიც ორ დიდ დასახლებულ პუნქტს აკავშირებს ერთმანეთთან. დაანგრეულია მტრის 86 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, მოსპობილია გერმანელთა 2 ტანკი, 7 ქვემეხი და 43 ტყვიამფრქვევი. გაულეტილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით წაიწიეს წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს. ღამით პარტიზანები ჩუმად მიადგნენ სოფელს, მოხსნეს გერმანელი გუშაგები და იერიშში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე. საბჭოთა პატრიოტებმა გაულეტეს მტრის 36 ჯარისკაცი. ტყვედ წამოყვანილია 5 გერმანელი.

* * *

გერმანელთა 250-ე ქვეითი პოლკის მე-14 ასეულის ტყვე უნტერ-ოფიცერმა კარლ ბაუმმა განაცხადა: „რუსი პარტიზანები ძალიან თამამად მოქმედებენ. ისინი გაბედულად ესხმიან თავს ჩვენს ზურგს. უკანასკნელ ხანს საშიში გახდა რკინიგზით მგზავრობა. ბობრუისკის რაიონში ჩვენი მატარებელი ნაღმს წაეყარა. ორთქმავალი და ორი ვაგონი დაიმტვრა. ბრიანსკის მახლობლად ორი კვირის წინათ მოხდა რკინიგზის კატასტროფა, რომლის შედეგადაც დაიღუპა ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩემმა თანამემამულემ, 350-ე პოლკის მე-11 ასეულის ჯარისკაცმა მაცნობა, რომ მოკლულთა შორის იყო მისი ასეულის მეთაურიც, ობერ-ლეიტენანტი ანდერსი, ქალაქ ვალდენბერგის მცხოვრები. რკინიგზის უნეჩა-ბრიანსკის უბანზე პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს ბევრი სამხედრო ეშელონი. ვაკისის გასწვრივ დიდძალი დამტვრეული ორთქმავალი და ვაგონი ჰყრია.

* * *

ფრანგი პატრიოტები ჰფუშავენ ფრანგი მუშების იძულებითს გაგზავნას გერმანიაში. შეიარაღებული ფრანგების ჯგუფმა ლიონში გაანადგურა მუშების გამომწვევი გერმანული ბიურო და მოსპო ყველა დოკუმენტი და სია. გერმანიაში გასაგზავნი 10 ახალგაზრდა რკინიგზელი დეპოში მივიდა; მათ მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ორთქმლმავალი და ცილინდრები. ანემასის რაიონში 425 კაციდან, რომლებმაც განკარგულება მიიღეს გერმანიაში გამგზავრებულიყვნენ, მხოლოდ 15 კაცი გამოცხადა შესაყრებ პუნქტში. მთელ რიგ საწარმოებში მუშებმა კატეგორიულად სთქვეს უარი გერმანიის ქარხნებში წასვლაზე და გერმანიაში იძულებითი გაგზავნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაფიცვები გამოაცხადეს.

17 მარტის საღამოს ცნობა

17 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

16 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს მოწინააღმდეგის 22 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და ააფეთქეს ერთი საწყობი საომარი მასალა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, ანვითარებდნენ შეტევას და დაიკავეს რამოდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი. ნ შენაერთის ნაწილებმა ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში მოსპეს 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოწინააღმდეგეს წაართვეს 10 ქვემეხი, 60 ტყვიამფრქვევი და 60 ავტომანქანა სხვადასხვა საბრძოლო ქონებიანად სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს ჰიტლერელთა წინააღმდეგობა დნეპრის ზღუდეზე. გადავიდნენ ზდინარეზე და დაიკავეს მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები.

* * *

ჩუგუევის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, გააფთრებული ბრძოლების შედეგად, უკუაგდეს გერმანელები და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები. მოწინააღმდეგე 6-ჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დახანძრებული და დამწვარია ერანელთა 19 ტანკი, მოსპობილია მოწინააღმდეგის 90 ავტომანქანა, 4 ქვემეხი და 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სეევსკის დასავლეთით ნ ცხენოსანი ნაწილი იგერიებდა გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა, მან ბრძოლის ველზე დასტოვა ათასობით დამტვრეული და დამწვარი ტანკი და ავტომანქანა. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა გაეტეხეს 200-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს დავლა.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. საბჭოთა ქვეგანაყოფები წყლის ზღუდეზე გადავიდნენ და 10 ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნ ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 4 ტანკი, 5 ქვემეხი და ერთი საწყობი საომარი მასალა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 24 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის 3 სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 2 ორთქმლმავალი, 8, ცისტერნი საწვავიანად, 13 ვაგონი საომარ მასალიანად და ორი ვაგონი, რომლითაც ჯარი გადაჰყავდათ. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე სავსებით შესწყდა.

* * *

გერმანელთა 177-ე ქვეითი პოლკის 1-ლი ასეულის ტყვე მეთაურმა, ლეიტენანტმა კურტ პენდელმა განაცხადა: „გასულ წელს ჰიტლერმა გერმანიის არმიასაც დაუსახა დაეკავებინა ვოლგა და კავკასია. მაგრამ რუსებმა ჩაშალეს გერმანელთა სარდლობის გეგმები. სტალინგრადთან გერმანიის ჯარების დამარცხების შემდეგ გერმანული სამხედრო მანქანა გაიბზარა. გარშემორტყმული და მოსპობილი პაულუსის არმიის აჩრდილი თან სდევს გერმანელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს. ბევრს ახლა გარშემორტყმა ყოველ ნაბიჯზე ელანდება“.

* * *

წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახევისას გერმანელები არბევენ და სწვავენ ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობას ართმევენ სურსათის უკანასკნელ ნაშთებს, ტანსაცმელს და უფრო ძვირფას ნივთებს, ხოლო მცხოვრებთ ძალით მიერეკებიან გერმანიაში. (სმოლენსკის ოლქის სოფელ პოტაპოვოში ჰიტლერელებმა მთლად გაძარცვეს კოლმეურნენი, ხოლო ყველა გლეხი ბადრაგის თანხლებით ზურგში წაყვანეს. ამავე ოლქის სოფელ პესოჩნიაში გერმანელებმა ყველა მცხოვრებს უგრძანეს გარკვეული საათისათვის შესაკრებ პუნქტში გამოცხადებულიყვნენ გერმანიაში გასაგზავნად. ფაშისტური ტყვეობისაგან თავის დასაღწევად გლეხები მიწურებში მიიმალნენ; ჰიტლერელმა მხეცებმა ბენზინი შეასხეს მიწურების კარებს და ცეცხლი წაუკიდეს მათ. ცეცხლში დაიღუპა 130 მცხოვრები, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი.

მფრის წინააღმდეგობას სდეხენ

მოქმედი არმია, 17 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ოლენინოს სამხრეთ-დასავლეთით და ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ. უკანასკნელი დღეების განმავლობაში გერმანელთაგან განთავისუფლებულია კალინინისა და სმოლენსკის ოლქის ასობით დასახლებული პუნქტი. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს.

განსაკუთრებით შეუპოვარი იყო ბრძოლა ერთი მაღლობისათვის, რომელსაც მძლავრი ციცხლითი ურთიერთკავშირი ჰქონდა მტრის ორ სხვა მაღლობთან. ღამის 3 საათზე ჩვენმა მებრძოლებმა კოვალჩუკის მეთაურობით გაბედული კვეთებით მიაღწიეს განაპირა სანგარს. ქვეითები დაებღაუჭნენ მას და გრანატებითა და ავტომატებით განდევნეს ფაშისტები მაღლობიდან.

მაღლობის დაკარგვამ დარტყმის საფრთხე შეუქმნა გერმანელთა მთელს დაცვას ამ უბანზე; ჰიტლერელებმა სასოდეს დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და ოთხი კონტრიერიში მოიტანეს ზედიზედ.

ქვეითთა და არტილერისტთა შეთანხმებული მოქმედების შედეგად მტრის ოთხივე კონტრიერიში მოგერიებულ იქნა.

ე. კორიანოვიჩევი

გააფთრებული ბრძოლები სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში

მოქმედი არმია, 17 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში მოწინააღმდეგეს, რომელიც არაფრად აგდებს უდიდეს ზარალს ოცასი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ბრძოლაში გამოჰყავს ახალი რეზერვები, ტანკების დიდი ჯგუფები. გერმანელები ცდილობენ წინ წამოიწიონ რადაც უნდა დაუჯდეთ.

მტერი ყველგან ხვდება ჩვენი ნაწილების მედგარ წინააღმდეგობას, რომელიც გაბედული კონტრიერიშებით უკუაგდებენ მას ჩვენი თავდაცვის ხაზიდან. ჩუგუევის რაიონში გერმანელები ექვსჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აქტიურად მუშაობს ჩვენი მოიერიში, ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაცია. ნ შენაერთის მფრინავებმა მარტო ორი დღის განმავლობაში მოსპეს მტრის ათობით ტანკი, მრავალი ავტომანქანა ტვირთიანად და ჩააჩუმეს 10 ბატარეა.

დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს სახმელეთო ჯარები, რომელნიც განსაკუთრებით ედგრად იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა წიწა-წყალს. იმის მიუხედავად, რომ მტერს რაოდენობრივი უპირატესობა აქვს, მარცხით მთავრდება ყოველი მისი ცდა—გამოიკრას წყლის ზღუდისაკენ. თოვლისაგან განთავისუფლებული მინდვრები მთლად მოფენილია ფაშისტი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებით.

გუშინ გვარდიის ნ ნაწილის უბანზე გერმანელებმა ზედიზედ ხუთი იერიში მოიტანეს. იმ ქვეგანაყოფის პოზიციებზე, რომელსაც გვარდიის კაპიტანი მიროშნიჩენკო თავიანთ ოფიცრობს, 25 ტანკი მოიწევდა. ფაშისტთა მანქანების რამდენიმე ჯგუფი სოფლის გზით მოდიოდა. მათ განზრახვა ჰქონდათ შესაყარში დაერტყათ ჩვენი ქვეგანაყოფებისათვის.

ლეიტენანტ ეროხინის ბატარეიების მასირებულმა ცეცხლმა გზა გადაუღობა ტანკებს.

გერმანელებმა 10-ზე მეტი ნანქანა და ტანკზე მეჯლომი თითქმის ყველა მეავტომატე დაჰკარგეს და თავდაბირველ პოზიციებზე დაიხიეს.

ფრონტის სხვა უბნებზე საბჭოთა ჯარები ადრე

დეკეთეგი

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის მე-5 სავაგონო უბნის მუშაკთა კოლექტივი ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნისა და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივების მოწოდებათა პასუხად წარმატებით ანაღდებს წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მევაგონეებმა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება უკვე ვადაზე ადრე შეასრულეს.

წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა მე-5 სავაგონო უბნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბათუმის სავაგონო უბანი და თბილისის მე-4 სავაგონო უბანი და იკისრა შენდეგი ვალდებულებები: კაპიტალური რემონტის მარტის და აპრილის გეგმა შეასრულოს 130 პროცენტით, საშუალო შეკეთებისა — 110 პროცენტით, წლიური შეკეთებისა — 105 პროცენტით.

ვ. ფეიდლიშვილი

შრომითი აღმავლობა ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქუთაისის საწარმოები წითელი არმიისადმი მზრდი დახმარების ლოზუნგით გამოეხმაურნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ და ენერგიულად შეუდგნენ სოციშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას.

ლიტოპონის ქარხანაში (დირექტორი ამხ. ა. სურმავა) ნაკისრი ვალდებულებებს წარმატებით ანხორციელებენ ინჟ. ს. სადუნიშვილის საამქროს მუშები. მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ გ. ანასტასიადისა და ბ. კილაძის ცვლები. ბრიგადირები პ. სიომკა, გ. ლეჟავა დავალებას 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ. კარგად მუშაობს მექანიკური საამქრო (უფროსი ამხ. ი. კობერიძე), რომელიც დღიურ დაკვეთას 150 და მეტი პროცენტით ასრულებს. წინასამაისო შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებას კარგად ასრულებს საამქრო, რომლის უფროსია ამხ. ვ. მუმლაძე.

ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა ამ უკანასკნელ დროს გაუძღობესა მუშაობა. მქმოველები ბ. ნიკოლეიშვილი, გ. ჯიხვაძე, ე. ბენიძე, მ. ნანიკაშვილი და სხვები დღიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

კარგად მუშაობენ **ა. ი. მიქოიანის სახელობის საკონსერვო** ქარხნის თილი რიგი საამქროები. ლ. ქიქავას, ა. კუჩეროვას, პ. მამაგეიშვილის, ქ. ჭეიშვილის, კ. დიმკოვსკის ბრიგადები მოწინავეთა რიგებში არიან.

გ. სამხარაძე

ახალი ვალდებულებები იკისრეს

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნის და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივების მოწოდებათა პასუხად მახარაძის ფაიფურის ქარხნის კოლექტივი ჩაება წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა ვალდებულებები: მარტისა და აპრილის საწარმოო დავალება 105 პროცენტით შეასრულოს, მარტში ათვისოს ელექტროფაიფურის ახალი ასორტიმენტის გამოშვების ტექნიკა, გასწიოს საწვავის ეკონომია 10 პროცენტით, ნედლეულისა — 5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 10 პროცენტით, თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით.

უძველესი საარჯილეარიო პოლკი

დღეს 24-ე ორგზის წითელდროშოვანი საარტილერიო პოლკის მებრძოლთა და მეთაურთა ღირსშესანიშნავი დღეა: სრულდება მათი ნაწილის არსებობის 25 წელი.

პოლკი შედგენილ იქნა ლენინგრადში ომ დღეებში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა რაზმავდა თავის შეიარაღებულ ძალებს ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა დასაცავად. მას შემდეგ პოლკმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. პოლკის ისტორიაში აღნიშნულია პირადი შემადგენლობის მრავალრიცხოვანი საგმირო საქმეები, სარდლობის ყველა დავალებათა სანიმუშოდ შესრულება. რევოლუციური წითელი დროშით, რომელიც პოლკს ამხ. კალინინმა ჩაბარა მრავალი წლის წინათ, არტილერისტები შამაცურად და მარჯვედ იბრძოდნენ თეთრფინელებთან ომის დროს. პოლკმა კიდევ უფრო გაითქვა სახელი სამამულო ომის დღეებში. სულ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთ შეტევითს ოპერაციაში მონაწილეობისას, პოლკმა შესანიშნავად შეასრულა სარდლობის დავალება.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა ბევრმა მებრძოლმა და მეთაურმა. მათ შორის მაიორი **კოზინოვი** დაჯილდოებულია წითელი დროშის ორი ორდენით, კაპიტანი **ზოლოტარიოვი** და უფროსი ლეიტენანტი **ნიკოლაევი**, რომლებიც პოლკში მსახურობენ 10 წელზე მეტ ხანს, გაბედული მზვერავები **ჯიქია** და **სირაძე**, მებრძოლები **ბასარაბა**, **როდიკი**, **ხრებტოვსკი** და ბევრი სხვა დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოთი.

ცალკე უნდა შეეხოთ პოლკის მეთაურ ამხ. **ლაპტევს**. 12 წლის წინათ მან ამ უძველეს საარტილერიო პოლკში სამსახური დაიწყო, როგორც რიგითმა მებრძოლმა. ამხ. ლაპტევი დღემდე ამ პოლკშია, იმსახურა ყველა სამეთაურო თანამდებობაზე, განვლო გზა წითელარმიელიდან პოლკოვნიკამდე. პირადი მამაცობისა და გულადობისათვის პოლკოვნიკ ლაპტევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

პოლკის თუბილე ბრძოლის პირობებში აღინიშნება. სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი არტილერისტები წარმატებით ანადგურებენ საძულველ მტრებს.

(„კრასნაია ზვეზდა“, 11/III).

ბანაკი „181“

მაიორი **ბ. ტროიანოვსკი** 11 თებერვლის გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ მოგვითხრობს გერმანელების მიერ მოწყობილ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ერთ-ერთი ბანაკის შემზარავ ამბავს. ეს ბანაკი გერმანელებმა მოაწყეს გასული წლის სექტემბერში ქალაქ პროხლადნიში და შიგ ჰყავდათ 540 საბჭოთა სამხედრო ტყვე.

„დეკემბერში ბანაკი № 181 მინერალნიე ვოდში გადაიყვანეს. ღამით ტყვეები პროხლადნის ქუჩებზე გარეკეს და მცხოვრებთაგან ვერავინ ვერ მიხვდებოდა ბანაკის გადაყვანას, ერთ ტყვეს კავკავის ქუჩაზე შუშის პატარა ბოთლი რომ არ დაგდო. ბავშვებმა იპოვნეს ეს ბოთლი და წაიკითხეს: „მე არ შეშინებია დავასახელო ჩემი ვინაობა. მე ტყვე ვარ და ვიმყოფები ბანაკში № 181. ჯერ 540 ვიყავით, ახლა 410 კაცი-ღა დარჩა. კომუნისტები ივანე ტერენტიევი, სტეფანე შიროკოვი, ვლადიმერ კაკნაძე, არონ მიმშტეინი და კიდევ 18 კაცი დახვრიტეს 26 სექტემბერს ღამით თხრილთან აგურის ქარხნის უკან, ავადმყოფები ლილოიანი და სტეფანიანი ერევნიდან, კოზლოვი კამენინიდან და კოკუსმეტოვი ალმა-ატიდან თერგში დაახრჩეს 8 ნოემბერს. 42 აზერბაჯანელი წითელარმიელი ცემით დახოცეს თოკების ხიდთან სტანიცა მაისკაიას ახლოს. მათ ერმანელებისა არ ესმოდათ, და გერმანელები მათ კონდახებსა და ნიშტებს სცემდნენ. 10 მებრძოლი შიმშილით ნიშნავს. ჩვენ აქ კი არ ვცოცხლობთ, არამედ ნელნელა კვდებიო. ახლა მიგვერეკებიან, არ ვიცით სად, უფრო მოსალოდნელია, რომ დასახოცავად“...

„მინერალნიე ვოდიდან ბანაკ № 181-ის ტყვეები ნევინომისკ-არმავირ-კროპოტკინით სტანიცა უსტ-ლაბინსკაიაში გარეკეს. მხოლოდ ჩვიდმეტმა კაცმა მიაღწია უსტ-ლაბინსკაიას. ბანაკის კომენდანტმა ერიხ ველმუტმა ადგილობრივი გარნიზონის უფროსს მისწერა:

„ამით მოგახსენებთ, რომ 15 იანვარს სტანიცა უსტ-ლაბინსკაიაში ჩამოვიდა ჩემმამი რწმუნებული ბანაკი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა № 181 ერთი კომენდანტის, რვა მცველისა და 17 ტყვის შემადგენლობით. 176 ტყვე გზაში დაიხოცა სიცივისა და ავადმყოფობისაგან. ჩამოყვანილი 17 ტყვე მუშაობისათვის უვარგისია. ველი თქვენს მითითებებს“.

ამ მოკლე პატაკს უსტ-ლაბინსკაიას გარნიზონის უფროსმა (ხელმოწერა გაურკვეველია) კიდევ უფრო მოკლედ წააწერა: „რატომ ჩამოიყვანა ეს 17? უმჯობესი იყო ისინი პატაკით ჩამოეწერა ავადმყოფთა ან დახოცილთა რიცხვში“.

წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც უსტ-ლაბინსკაიაში შევიდნენ, ნახევრადდამწყვარ ვაგონში აღმოაჩინეს 16 გვამი, ერთ მათგანს სახელოზე შერჩენოდა თეთრი სახვევი, რომელზედაც შავად ეწერა ციფრი 181...

ქალაქ პროხლადნიდან სტანიცა უსტ-ლაბინსკაიამდე გზატკეცილის ორივე მხარე მოფენილი იყო გაძვალტყავებული ადამიანების გვამებით. მათ სამხედრო ტანისამოსი ადარ შერჩენოდათ, ყველანი ბახვეული იყვნენ ნაფლეთებში, ხოლო ყველას სახელოზე ეკერა № 181. ყველა ისინი დავასაფლავეთ. არავინ იცის მათი სახელები და გვარები. ცნობილია მხოლოდ წყეული ციფრი 181. და ეს ციფრი მოგვიწოდებს შურისძიებისაკენ“.

ორი კაზაკი ქალიშვილის გარათი

სტანიცა პროლეტარსკაია (როსტოვის ოლქი), 16 მარტი (საკდესი). როსტოვის ოლქის ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელმა მტარვალებმა გერმანიაში საკატორღო სამუშაოზე ათასობით მოზარდი გარეკეს კაზაკთა სტანიცებიდან. აი ბარათი, რაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასცეს წითელარმიელებს, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ სტანიცა პროლეტარსკაიაში.

„ჩვენო მშობლიურნო, მალე გათავისუფლეთ ჩვენი სტანიცა საზიზღარ გერმანელთაგან! ჩვენ კი, როგორც სჩანს, უკვე ვეღარაფერი გვიხსნის, მიგვერეკებიან წყეულ გერმანიაში. ტირილით ცრემლი გაგვიშრა. უფრო მეტს მოგწერდით, მაგრამ დრო არა გვაქვს, პოლიცია მატარებლისაკენ გვერეკება. გახსოვდეთ ჩვენ, დალუპულნი, შური იძიეთ, მშობლიურნო, ჩვენი ტყვეობისათვის! კომკავშირელები გალია და ნინო“.

მარტო ამ სტანიციდან გერმანელებმა ძალით, დახვრეტის მუქარით, გერმანიაში გარეკეს 14-20 წლის 450 ჰაბუკი და ქალიშვილი, მათ რიცხვში მოსწავლეთა დიდი ჯგუფი.

განთავისუფლებული სტანიცების კაზაკობა ახლა გამოუთქმელი აღფრთოვანებით შეუდგა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. კაზაკებმა იციან, რომ რაც მეტს და უკეთ დასთესენ და რაც მეტ პურს აიღებენ, მით უფრო მალე დაეხმარებიან წითელ არმიას გერმანელთა ტყვეობიდან გათავისუფლოს მათი შვილები და მათი ყოველგვარი წამებისათვის სამაგიერო მიუზღოს ჰიტლერელ მტარვალებს.

ტ. აბაშმაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეორე სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ნეორე სამეცნიერო სესიის უკანასკნელი სხდომა შეესდგა 17 მარტს. სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. შ. ჭანიშვილის მოხსენების ირგვლივ. ნ. ავალიშვილმა (საქართველოს სსრ მიწსახკომის აგროტექნიკური სამმართველო) დააყენა საკითხები ანეულებისა და ამასთან დაკავშირებით დარაიონების შესახებ. დოც დალაქიშვილმა გააცნო სესიას ანეულებზე თავისი დაკვლევების შედეგები ქართლში. უფროს მეცნიერ მუშაკს ალ. ჯაფარიძეს საჭიროდ მიაჩნია, რომ აგროტექნიკური ღონისძიებები განუხრელად ტარდებოდეს კომპლექსურად. ამხ. კვალიაშვილმა ყურადღება გაამახვილა მესქონლეობის განვითარების საკითხებზე.

მომხსენებელმა შ. ჭანიშვილმა ვრცლად უპასუხა კამათში გამოსულ ამხ. კამათი აგროტექნიკის საკითხების ირგვლივ შეჯამა აკად. ნ. კეცხოველმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უახლოეს ვადაში უნდა დამუშავდეს საკითხი ნაწვერალის აჩეჩვის, ჯეჯილის გადაფარცხვის და ქარიან რაიონებში ანეულის აოშვის შესახებ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებამ ძირითად ამოცანად უნდა დაისახოს აგროწესების დამუშავება საქართველოს რაიონების მიხედვით. სამეცნიერო დაწესებულებებმა კი უნდა შეჭქნან კოლექციები იმ მარცვლეულებისა, რომლებიც ჩვენში ფართოდ აღარ ითესება. ეაგრამ დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

სესიამ მოისმინა პროფ. ნ. ხაჭაპურიძის და ლ. წერეთლის მოხსენებები, მიძღვნილი იმ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების განხილვისადმი, რომლებიც საქართველოში ჩატარდა მარცვლეულ კულტურათა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, მარცვლეულ კულტურათა მავნებლებთა და ავადმყოფობათა [illegible] ბულ შხამ მასალათა გამოყენება.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი. პროფ. კალანდაძემ საჭიროდ სცნო ყოველი ცალკეული მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დამუშავება. შესწავლილ უნდა იქნას მინდვრულთა გავრცელება წელს, რათა დროულად მიღებულ იქნას ზომები. პროფ. ბათიაშვილმა წამოაყენა საკითხი სოფლის მეურნეობის მავნებელთა და ავადმყოფობათა გავრცელების ზონების დარაიონების შესახებ. დოც. ლ. ყანჩაველი შეეხო სოკოვან დაავადებებს და დასახა მათთან ბრძოლის ღონისძიებანი. პროფ. ს. ქარუმიძემ ილაპარაკა მინდვრულების წინააღმდეგ შხამების გამოყენების და ადგილობრივი შხამების გამონახვის საკითხებზე. დოც. ეკ. ერისთავი ლაპარაკობდა ვირუსოვან აკადმყოფობათა შესახებ და საჭიროდ სცნო ამ სახის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია. ილ. ზოშიაშვილს საჭიროდ მიაჩნია პროგნოზის პუნქტების ქსელის გაფართოება. პროფ. ლომოური შეეხო აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის კომპლექსურობას.

პროფ. ხაჭაპურიძისა და წერეთლის საბოლოო სიტყვების შემდეგ სესიამ მოისმინა წინა სხდომაზე არჩეული კომისიების მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი აგროტექნიკის დარაიონების, მასობრივი სელექციის და ჯიშთა გამოცდის ქსელის გაფართოების და დარგში წარმოდგენილი წინადადებები სესიამ მოიწონა.

სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. ნ. კეცხოველმა.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ

რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის სამუზეუმო განყოფილება სამუზეუმო ნივთების სახელმწიფო ინვენტარიზაციას ატარებს. ერთიან სახელმწიფო აღრიცხვაზე იღებენ განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული ღირებულების ნივთებს. თითოეულ მათგანზე დაცვითი სიგელი იწერება. აღრიცხვაზე აღებულია უკვე 1.000-ზე მეტი ნივთი, მათ შორის დიდი რუსი ადამიანების — სარდლების, მეცნიერების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, რუსეთის იარაღის გმირების კუთვნილი მრავალი ნივთი. (საკდესი).

„ᲦᲐᲚᲐᲢᲘ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დრამამ სოხუმელ მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, რომელიც დასდგა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ.

პრემიერამ მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: მ. ჩუბინიძე (ოთარბეგი), თ. მაკარაშვილი (ზეინაბ), ლ. ჭედია (ერეკლე), ი. დონაური (რუქაია), კ. ბოკუჩავა (დათო), ნ. მიქაშავიძე (ანანია), მ. გაგნიძე (სოლეიმან-ხანი) და სხვ.

ქართული დრამა მორიგ პრემიერად ამზადებს გ. გულიას პიესას—„გზა უფლტეხილზე“. პიესა დაწერილია სამამულო ომის თემაზე აფხაზეთის ცხოვრებიდან. პიესას სდგამს ახალგაზრდა რეჟისორი **გ. გაბუნია**, მხატვრულად აფორმებს მხატვარი ელ. ახვლედიანი.

სამეცნიერო კონფერენცია

19 მარტს, საღამოს 7 საათზე, შრომის ჰიგიენის და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (კლ. ცეტკინის ქ. № 126) შეესდგება ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მოსმენილი იქნება:

1) სამხედრო მნიშვნელობის წარმოებათა ექიმების მოხსენებები,

2) მოხსენება ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილების მუშაობის შესახებ.

საღამო უნივერსიტეტის კლუბში

18 მარტს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი აწყობს სტალინგრადის გმირული დაცვისადმი მიძღვნილ საღამოს. მოხსენებას სტალინგრადის გმირული დაცვის შესახებ გააკეთებს სქ. ალკაცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. მეედლიშვილი. საღამოში მონაწილეობას იღებენ პოეტები ა. მაშაშვილი, ი. აბაშიძე. საღამოს პროგრამაშია აგრეთვე დიდი კონცერტი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘ

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პარტკაბინეტების გამგეებისა, აგიტ-კოლექტივების ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **გ. ბაქრაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის ფორმები და მეთოდები სამამულო ომის პირობებში“.**

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი**—„შენით მოხიბლული“. **დამკვრელი**—„საბრძოლო კინოკრებული № 12“. **კომკავშირელი**—„მხედრები“. **ლუჩხმბურგის სახ.**—„ამანგელდი“. **სპარტაკი**—„დაბრუნება“. **26 კომ. სახ.** — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

19 მარტს: სახოპერა — „ტრუბადური“. **რუსთაველის სახელობის** — „სპატარძლო აფიშით“. **მარჯანიშვილის სახელობის**—„ინჟინერი სერგეევი“. **გრიბოედოვის სახელობის**—„ოლეკო დუნდიჩი“. **სომხური თეატრი**—„კინტო“. **ახუნდოვის სახელობის**—„ხათაბალა“. **მუსიკალური კომედიის**—„საქორწინო მოგზაურობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„მშობლიური მიწა“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი**—„თოვლის დედოფალი“. **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი**—„ორი ობოლი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ რკინიგზის სახელსნოებს ჰადერმორნში (60 მილზე ჰანოვერის სამხრეთ-დასავლეთით).

იმავე დღეს, დილით, ინგლისის მსუბუქმა სანაპირო ხომალდებმა ჩრდილოეთ ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ორი დიდი სატვირთო გემი.

ᲖᲔᲛᲝ ᲡᲐᲕᲝᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲚᲧᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲓᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 17 მარტი (საკდესი). საფრანგეთიდან მიღებული ცნობებით, ვიშის ხელისუფლებამ ზემო სავოიაში საალყო წესები გამოაცხადეს „მთებში მყოფ მეამბოხეთა მოქმედებასთან დაკავშირებით“.

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). პრესის ცნობით, ფრანგმა პატრიოტებმა, რომელნიც ზემო სავოიის მთებში მოქმედებენ ქალაქ ტონონის მახლობლად, გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს; ეს თვითმფრინავები გაგზავნილი იყვნენ პატრიოტთა პოზიციების დასაბომბავად. პატრიოტებულ რაზმებს სათავეში უდგანან ფრანგი ოფიცრები, რომელთაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის ალპების ჯარის მსროლელთა ყოფილი მეთაური, გენერალი კარტე.

ზემო სავოიაში ვიშის პოლიციის ახალი რაზმები მოდის. მთელი მთის მასივი, რომელშიც მოქმედებენ პატრიოტებნი, გარშემორტყმულია პოლიციის ნაწილებით. ამის მიუხედავად, ბევრი ფრანგი პატრიოტი მაინც მიდის მთებში.

ინგლისური პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ზემო სავოიაში შექმნილ მდგომარეობას. „საფრანგეთში ატმოსფერო ხურდება,—სწერს გაზეთი „ტაიმსი“.—ოკუპანტებისადმი ფრანგი ხალხის წინააღმდეგობა ოთის სწორედ იმ სტადიაში ძლიერდება, როცა გერმანელები იძულებული არიან შეამცირონ თავიანთი ჯარების რაოდენობა საფრანგეთში“.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აცხადებს, რომ საფრანგეთში „მრავალი არალეგალური ორგანიზაცია არსებობს, რომელთა წევრებიც იმ დრომდე იმალებიან, სანამ საყოველთაო აჯანყების ჟამი არ დადგება. მოკავშირეებზეა დამოკიდებული, რომ ეს ჟამი რაც შეიძლება მალე დადგეს, იმიტომ რომ, რაც უფრო სასტიკი ხდება არალეგალური საშინაო ომი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება გარედან წარმატებით შეჭრისათვის.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲐᲛᲤᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გესტაპოელთა რაზმები საფრანგეთის ყველა ქალაქში მასობრივად აკავებენ ხალხს, ნადირობენ ახალგაზრდა ფრანგებზე, რომლებიც თავს არიდებენ გერმანიაში შრომითი ბეგარის გადასახდელად გამოცხადებულ მობილიზაციას. ფრანგ ქალ-ვაჟთ ტრამვაიში და რკინიგზის სადგურებზე იჭერენ და დაუყოვნებლივ ჰგზავნიან გერმანელთა კომენდატურებში. დაკავებულთ იმის ნებასაც კი არ აძლევენ, რომ აცნობონ თავიანთ ოჯახებს, თუ სად იმყოფებიან. 7.000 ახალგაზრდა ფრანგს, რომლებმაც ალპების მთებს შეაფარეს თავი, ულტიმატუმი გაეგზავნა, რომლითაც მათგან მოითხოვენ შესწყვიტონ წინააღმდეგობა **და** დანებდნენ ხელისუფლებს. რადგან ფრანგებმა ეს ულტიმატუმი არ მიიღეს, გერმანელებმა მათ სროლა აუტეხეს.

ლიონსა და მის მიდამოებში 500 ადგილას დაკავეს ხალხი მასობრივად. სახლებში მასობრივი ჩხრეკა ხდებოდა. გესტაპოელების ხელ დაკავებული ბევრი ფრანგი ვაგონებში ჩაჭკეტეს და ბადრაგით გაგზავნეს გერმანიაში.

ჰიტლერის რწმუნებულმა მუშახელის შეგროვების დარგში ზაუკელმა ულტიმატუმი წარუდგინა ლავალს—სამ დღეში გაგზავნოს გერმანიაში მილიონი ფრანგი მუშა. ვიშის რადიომ გადასცა ლავალის ახალი ბრძანება 18-დან 30-წლამდე ასაკის ყველა კვალიფიციური ფრანგი მუშის მობილიზაციის შესახებ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ამას წინათ ნორვეგიის ერთ-ერთ ნავსადგურში 12 ნორვეგიელმა პატრიოტმა გერმანიის 730 ტონა წყალწყვის გემი დაიკავა და ამ გემით ინგლისში გაიქცა.

* * *

დანიაში მოქმედებს დანიის ახალგაზრდობის მრავალი არალეგალური ჯგუფი, რომელნიც ბრძოლას ეწევიან ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ. დანიაში ხშირდება დივერსიებისა და საბოტაჟის აქტები. ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის სასამართლოებმა ანტიგერმანული საქმიანობისათვის პატიმრობა ნიუსაჯეს 3.000-ზე მეტ დანიელს.

* * *

გერმანელებმა საფრანგეთიდან გერმანიაში გადაიყვანეს ყველა მუშა და გადაზიდეს მთელი სამანქანო მოწყობილობა პეეოს საავტომობილო ქარხნებისა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲙᲐᲢᲝᲠᲦᲐᲨᲘ

ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲐ, 11 მარტი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან) 15 წლის პიონერმა გოგონამ ვალიამ 1942 წლის 9 იელისს პირველად ნახა გერმანელები. ისინი თვითკმაყოფილნი დადიოდნენ, გაუგებარ ენაზე გაჰყვიროდნენ ჯარისაკაცის სიმღერის სიტყვებს. ადამიანები მიიმალნენ შინ, ცდილობდნენ ჩუმად ელაპარაკნათ. ყველას ეშინოდა აწიოკებისა, ხოცვა-ყლეტისა. და ეს არც დაყოვნებულა. ჯარისაკაცთ მთვრალმა ბრბოებმა საღამოსათვის იწყეს სახლებში შეჭრა, სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა ძარცვა და ხოცვა. ვალიას დედამ—ნადეჟდა ვასილის-ასულმა, დემუშკინამ სცადა წინააღმდეგობა გაეწია გერმანელი ეფიცერისათვის, რომელმაც მას წაართვა საათი—გარდაცვლილი ქმრის სახსოვარი. ჰიტლერელმა ბეკერდნი მუშის დარტყმით იატაკზე წაქცია აქვითინებული ქალი, ხელიდან გამოჰგლიჯა საათი და კიბეზე დაეშვა, ნადეჟდა ვასილის-ასული წამოხტა იატაკიდან, ხელი სტაცა ელექტრონის უთოს, დაეწია გერმანელს და უთოთი თავი გაუპეპეჯა მას.

ვალიას დედა დახვრიტეს. ბინიდან გაიტანეს მთელი ავეჯი, ტანისამოსი, ჭურჭელი. ვალია დარჩა თავის 5 წლის და ნადიასთან ერთად.

გადიოდა დღეები — მძიმე, შფოთიანი დღეები. ყოველ ღამეს გაისმოდა სროლა, ყვირილი დახმარების შესახებ. გერმანელები ქლეტდნენ მოსახლეობას. თან ადწერიეს ქალაქის ყველა მოქალაქე 14-დან 50-მდე წლისა. იმათ, ვინც აღწერას თავს არიდებდა, ფიზიკურად სჯიდნენ—ამათრახებდნენ. ერთ-ერთ სიაში ვალია დემუშკინაც შეიტანეს.

უწყებებით გაწვეულ ქალიშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფი 7 ნოემბერს დილით კოლონად გაამწკრივეს და მცველების თანხლებით გარეკეს სადგურზე, სადაც უკვე იდგა გერმანიანი ბანაგზაჯვნად გამზადებული ეშელონი. ვალიამ უკანასკნელად გადაავლო თვალი მშობლიურ ქალაქს. ვაგონები მაგრად ჩაჰკეტეს, მატარებელი დაიძრა და თან წაიყვანა უბედური ახალგაზრდა ადამიანები ფაშისტურ მონობაში. საქონლის ვაგონის კარები, სადაც მოთავსებული იყო 30 ქალიშვილი, დალურსმული იყო. კარებს დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ აღებდნენ იმისათვის, რომ შეეგდოთ რამდენიმე კარდალი ნახევრადმოხარშული დამზრალი კარტოფილი და ორიოდე ვედრო მოყვითალო ბურდო, რომელსაც ყავა ეწოდებოდა. ვაგონებში დაიწყო გაცივებითა და ინფექციური ავადმყოფობით დაავადება. ავადმყოფობისაგან ყოველდღე რამდენიმე კაცი კვდებოდა.

მაგრამ აი დამთავრდა ეს გზა, ტანჯვითა და წამებით აღსავსე. მატარებელი გაჩერდა გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში. ყველანი გადმოხსეს ვაგონებიდან. ჭაბუკები ცალკე გაამწკრივეს და ას-ასი კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად გარეკეს მავთულშემოვლებულ ბანაკისაკენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათი უმრავლესობა გაგზავნილი იყო სამხედრო ქარხნებში, სადაც მათ ჩალის ფასად უნდა შეესრულებინათ ყველაზე შრომატევადი და საცოცხლისათვის სახიფათო სამუშაოები.

უცნობ ქალაქში პირველი ღამე ქალიშვილებმა ვაგზალში გაატარეს. დილით მოვიდნენ ვიღაც მორთულ-მოკაზმული, ჭურქებში გახვეული ქალბატონები და იწყეს თავისთვის მონა ქალების გამორჩევა, ვალიასათვის ძნელია გიახსენოს ყველაფერი, რაც მაშინ გადახდა მას. იგი მანქანით მიჰყავდათ რომელიღაც დიდსახლებიანი ჭურჭებით, შემდეგ კიბით აიყვანეს მაღლა და, დასასრულ, შეაგდეს რომელიღაც ბნელ პატარა ოთახში. ვალია მიხვდა, რომ ეს, ალბათ, მისი ახალი ბინა იყო.

ასე გახდა საბჭოთა ქალიშვილი—პიონერი, გერმანელი ქალბატონის მოახლე. ვალიას გამოუცხადეს, თუ რა მოვალეობა ეკისრებოდა მას. მას უნდა ერეცხნა იატაკი, ჭურჭელი, თეთრეული, დახმარებოდა გერმანელ მზარეულ